საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030456494959318

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/56473 **23 / ოქტომბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის
დეპარტამენტის უფროსს, პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელს, ქალბატონ მარინა
დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ,,2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N592 დადგენილებით დამტკიცებული **,,ფსიქიკური ჯანმრთელობის“** სახელმწიფო პროგრამის სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მომსახურების მისაღებად პირის მოსარგებლედ ცნობა ხორციელდება გადაუდებელ შემთხვევათა (სამედიცინო დახმარების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება) ზედამხედველობის წესის შესაბამისად, რაც გულისხმობს პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებისას შემთხვევის შესახებ შეტყობინების დაფიქსირებას სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდულში.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის გაზაფხული - ზაფხულის პერიოდის განმავლობაში სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში ადგილი ქონდა გახშირებული შეტყობინებებს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრიდან, მათ შორის სამინისტროს ცხელი ხაზის (1505) საშუალებით, ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა სტაციონარში განთავსებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, მიმწოდებელ დაწესებულებებში არსებული არასაკმარისი საწოლების რაოდენობის გამო. მათ შორის იყო შემთხვევები, როცა პირის ფსიქიკური მდგომარეობა საჭიროებდა სასწრაფო სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას და ჰოსპიტალიზაციის დაყოვნება საფრთხეს უქმნიდა პაციენტის ან სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მხრიდან აღნიშნული პროგრამის სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა დაზუსტებული ინფორმაცია ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა მომსახურებისთვის გათვალისწინებული, დაწესებულებაში არსებული საწოლთა საერთო რაოდენობის შესახებ.

მიმწოდებელმა დაწესებულებებმა წარმოადგინეს მოთხოვნილი ინფორმაცია (თან ერთვის დანართის სახით), ამასთან რიგ შემთხვევებში მითითებულია გარკვეული საკითხები, რაც სავარაუდოდ საჭიროებს დამატებით კონსულტაციებს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა სტაციონარში განთავსებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ბოლო პერიოდის განმავლობაში ადგილი აღარ ჰქონია.

პატივისცემით,

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მაგდა ნასყიდაშვილი